დანართი

საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49-ე მუხლის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ანგარიში

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია 3(სამი) განცხადება და გაცემულია 4(ოთხი) საჯარო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საანგარიშო პერიოდში სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საორგანიზაციო და საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნანი ლაპიაშვილი; dedoplistskaro.mun@gmail.com ;

4. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს შემდეგი ბაზები:

ა) შემოსული და გასული კორესპონდენციის მონაცემთა ბაზა ;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის ბაზა;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებების ბაზა;

დ) საკრებულოს სხდომის გადაწყვეტილებათა ბაზა;

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

6) საკრებულოში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი წევრებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია;

7) საანგარიშო პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება არ მომხდარა.